



სამართლიანი არჩევნები

3 თებერვალი, 2010 წ.

**„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ განცხადება საქართველოს პრეზიდენტის მოწოდებასთან დაკავშირებით**

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ეხმაურება საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოწოდებას, რომელიც ეხება უკრაინის არჩევნებზე საერთაშორისო მისიის ეგიდით მონაწილე საქართველოს ყველა მოქალაქის უკან გამოწვევას.

„სამართლიანი არჩევნები“ არის არასამთავრობო, უპარტიო და მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის, ENEMO-ს ერთადერთი წარმომადგენელია საქართველოდან.

ENEMO წარმოადგენს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული ქცევის კოდექსი და მისი თითოეული წევრი ორგანიზაცია ვალდებულია იმოქმედოს ამ პრინციპების შესაბამისად - მიუკერძოებლად, უპარტიოდ და გამჭვირვალედ.

შესაბამისად, ENEMO-ს წევრობა და უკრაინის სადამკვირვებლო მისიაში „სამართლიანი არჩევნების“ მონაწილეობა გულისხმობს განსაზღვრულ ვალდებულებებსა და მოვალეობებს, რომელთა შესრულებაზეც პასუხისმგებელია ორგანიზაცია.

„სამართლიანი არჩევნები“ ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის მოწოდებას. თუმცა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ორგანიზაციისთვის შეუძლებელია საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაზე უარის თქმა, რადგანაც ეს გამოიწვევს მისიის მუშაობის შეფერხებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის წევრებს უკვე მიღებული აქვთ უკრაინის საარჩევნო ადმინისტრაციის აკრედიტაცია და მოგვარებულია მათ გამგზავრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ტექნიკური საკითხი.

„სამართლიან არჩევნებს“ ისევე როგორც სხვა ENEMO-ს წევრ სადამკვირვებლო ორგანიზაციას აქვს აღებული ვალდებულება ENEMO-ს მისიის წინაშე და შესაბამისად, პასუხისმგებელია მისიის მუშაობის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე „სამართლიანი არჩევნები“ დარჩება ENEMO-ს მისიის წინაშე აღებული ვალდებულებების ერთგული.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)